ხელშეკრულება

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ფაშა დეველოპმენტს“ (ს/ნ 1402272621) (უფლებამონაცვლე: შპს „პაშა დეველოპმენტ ჯორჯია“ (ს/ნ 402013628)) შორის 2015 წლის 17 აპრილს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი,

22 მარტი 2023 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (შემდგომში, ,,გამყიდველი“), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურიდიული მრჩევლის სალომე სურგულაძის (პ/ნ 33001066041) სახით, მოქმედი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს” თავმჯდომარის მიერ 2023 წლის 27 თებერვალს გაცემული N4/11074 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **შპს „პაშა დეველოპმენტ ჯორჯია“ (ს/ნ 402013628) (შპს „ფაშა დეველოპმენტის“ (ს/ნ 1402272621) უფლებამონაცვლე)** (შემდგომში „მყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ფარიდ მურადოვის (პასპორტის N C04015314) სახით, მოქმედი წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

შემდეგში თითოეული წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“,

ვხელმძღვანელობთ რა ,,შპს „პაშა დეველოპმენტ ჯორჯიას“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №2397 განკარგულებითა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ფაშა დეველოპმენტს“ (ს/ნ 1402272621) (უფლებამონაცვლე: შპს „პაშა დეველოპმენტ ჯორჯია“ (ს/ნ 402013628)) შორის 2015 წლის 17 აპრილს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით (შემდგომში: „ნასყიდობის ხელშეკრულება“), ვდებთ წინამდებარე ცვლილების ხელშეკრულებას (შემდეგში, „ცვლილების ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1

„ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1.1. ,,ნასყიდობის ხელშეკრულების“ 5.1.1 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.1.1. „არა უგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, №01.16.05.001.025 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე ან მის ნაწილზე უზრუნველყოს არანაკლებ 150-ნომრიანი სასტუმროს ან/და სავაჭრო/კომერციული/საოფისე დანიშნულების შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა/რეკონსტრუქცია, შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კანონით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება და სასტუმროს ან/და სავაჭრო/კომერციული/საოფისე შენობა-ნაგებობ(ებ)ის ფუნქციონირების დაწყება და ამ მიზნით, არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკით:

ა)1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება არაუგვიანეს 2024 წლის 3 იანვრისა;

Farid Muradov

გ) 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა;
გ)4 000 000 (ოთხი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა;
დ) 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა."

ამასთან, ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით ზუსტდება, რომ ამ მუხლის შესაბამისად გაწეულ ინვესტიციად მიიჩნევა ამავე მუხლით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით გაწეული კაპიტალიზებადი ხარჯი; ამასთანავე, მანქანა-დანადგარების/მოწყობილობების შეძენის მიზნით გაწეული ხარჯები, განსახორციელებელ ინვესტიციაში ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამისი მანქანა-დანადგარები/მოწყობილობები განთავსებული/არსებითად დაკავშირებული იქნება N01.16.05.001.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან.

„მყიდველი" უფლებამოსილია ამ მუხლით ნაკისრი ვალდებულება (თითოეული ეტაპი) შეასრულოს ამავე მუხლით განსაზღვრულ ვადაზე ადრე.

1.2. „ნასყიდობის ხელშეკრულების" 5.1.4 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.1.4. „ხელშეკრულების" 5.1.1 მუხლით განსაზღვრული, არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) ინვესტიციის განხორციელების ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, ამავე მუხლით გათვალისწინებული ინვესტიციის განხორციელების გრაფიკის თითოეული ეტაპის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს" წარუდგინოს „ხელშეკრულების" 7.3 მუხლით განსაზღვრული აუდიტორული დასკვნა, ხოლო „ხელშეკრულების" 5.1.1 მუხლით განსაზღვრული, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, №01.16.05.001.025 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე ან მის ნაწილზე უზრუნველყოს არანაკლებ 150-ნომრიანი სასტუმროს ან/და სავაჭრო/კომერციული/საოფისე დანიშნულების შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა/რეკონსტრუქციის, შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კანონით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღების და სასტუმროს ან/და სავაჭრო/კომერციული/საოფისე შენობა-ნაგებობ(ებ)ის ფუნქციონირების დაწყების ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, ამავე მუხლით გათვალისწინებული ვადის (31.12.2026წ.) ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს" წარუდგინოს „ხელშეკრულების" 7.3 მუხლით განსაზღვრული აუდიტორული დასკვნა."

1.3. „ნასყიდობის ხელშეკრულების" მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს 7[1] მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 7[1]. საბანკო გარანტია

7[1].1 „მყიდველის" მიერ წარმოდგენილი სს „პაშა ბანკი საქართველოს" (ს/კ 404433674) მიერ 2023 წლის 21 თებერვალს გაცემული #PEPB0518/23 საბანკო გარანტია, მისი მოქმედების პერიოდში უზრუნველყოფს „ხელშეკრულების" 5.1.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის, მათი შეუსრულებლობისათვის „ხელშეკრულების" საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.

7[1].2 „მყიდველის" მიერ წარმოდგენილი სს „პაშა ბანკი საქართველოს" (ს/კ 404433674) მიერ 2017 წლის 26 აპრილს გაცემული #PEPB0105/17 საბანკო გარანტია (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით), მისი მოქმედების პერიოდში უზრუნველყოფს „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულების

Farid Muradov

ეუსრულებლობის შედეგად, „ხელშეკრულების“ მოშლის ან მის საფუძველზე გადაცემული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების შემთხვევაში 01.16.05.001.017 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის საფუძველზე სახელმწიფოს მიმართ დამდგარი ზიანის ანაზღაურებას.

7¹.3 „მყიდველი“ ვალდებულია „ხელშეკრულების“ 7¹.1, საბანკო გარანტიის თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 (ერთი) თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე.

7¹.4. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შედეგად „გამყიდველის“ მხრიდან, „ხელშეკრულების“ 8.5. მუხლის შესაბამისად, „ხელშეკრულების“ მოშლის ან ავტომატურად შეწყვეტის შემთხვევაში, 7¹.1 და 7¹.2 მუხლებით გათვალისწინებული საბანკო გარანტიების თანხა სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

1.4 „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 8.2. მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8.2. „ხელშეკრულების“ 5.1.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ,,მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო შემდეგი წესით:

ა) „ხელშეკრულების“ 5.1.1 მუხლით განსაზღვრული, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, №01.16.05.001.025 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე ან მის ნაწილზე უზრუნველყოს არანაკლებ 150-ნომრიანი სასტუმროს ან/და სავაჭრო/კომერციული/საოფისე დანიშნულების შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა/რეკონსტრუქციის, შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კანონით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღების და სასტუმროს ან/და სავაჭრო/კომერციული/საოფისე შენობა-ნაგებობ(ებ)ის ფუნქციონირების დაწყების ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.“

ბ) „ხელშეკრულების“ 5.1.1 მუხლით განსაზღვრული არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) ინვესტიციის განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.05%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

1.5 „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 8.3 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8.3¹. მუხლი:

„8.3¹. „ხელშეკრულების“ 7¹.3 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 7¹.1 მუხლით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის შესავსები თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.“

მუხლი 2

Farid Murador

.1 „ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ განხორციელებული ცვლილებ(ები)ა არ ცვლის „ნასყიდობის ხელშეკრულების“ სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.

2.2. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ განხორციელებული ცვლილებ(ები)ა და დამატებ(ები)ა მიიჩნევა „ნასყიდობის ხელშეკრულების“ შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება „ნასყიდობის ხელშეკრულების“ განმარტების დროს.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება“ ძალაშია „მხარეების“ მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

3.2. წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულების“ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდეგში, „საჯარო რეესტრი“) რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, აგრეთვე „ცვლილების ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები იფარება „მყიდველის“ მიერ.

3.3. წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ „მხარეებს“ და „საჯარო რეესტრს“. „ცვლილების ხელშეკრულების“ ქართულ და ინგლისურ ვარიანტებს შორის სხვაობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ვარიანტს.

„გამყიდველი”
სსიპ - სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო
წარმომადგენელი: სალომე სურგულაძე

„მყიდველი“
შპს „პაშა დეველოპმენტ ჯორჯია“
დირექტორი: ფარიდ მურადოვი
Farid Muradov

Contract

on amendment to the Purchase Agreement signed on April 17, 2015 between the LEPL National Agency of State Property and "PASHA Development" LLC (TIN 1402272621) (successor: "PASHA Development Georgia" LLC (TIN 402013628))

Tbilisi, **22 March, 2023**

On the one hand, **LEPL National Agency of State Property** (hereinafter, the "seller"), represented by Salome Surguladze (P/N 33001066041), the Legal Advisor in legal assurance of the legal department, acting on the basis of and within the scope of the power of attorney N4/11074 issued by the chairman of the LEPL "National Agency of State Property " on February 27, 2023

and

on the other hand, **"PASHA Development Georgia" LLC (TIN 402013628) (successor of "PASHA Development" LLC (TIN 1402272621))** (hereinafter "Purchaser") represented by its Director Mr. Farid Muradov (passport N C04015314) acting on the basis of and within the scope of the powers granted by the Charter,
hereinafter each referred to as a "Party" and collectively as the "Parties",

based on the Decree of the Government of Georgia No. 2397 of December 23, 2022 on "Implementation of a number of measures to support the activities of "PASHA Development Georgia" LLC, and Purchase Agreement (hereinafter: "Purchase Agreement") signed on April 17, 2015 between the LEPL National Agency of State Property and "PASHA Development" LLC (TIN 1402272621) (successor: "PASHA Development Georgia" LLC (TIN 402013628)), we enter into this Amendment Agreement (hereinafter, "Amendment Agreement") as follows:

Article 1

The following changes have been made to the "Purchase Agreement":

1.1. Article 5.1.1 of the "Purchase Agreement" shall be amended and formulated as follows:
"5.1.1. "No later than December 31, 2026, personally and/or by the virtue of the third party, on the property registered with the land (real estate) cadastral code No. 01.16.05.001.025 or its part, to construct, reconstruct and in line with the legislation of Georgia ensure the acceptance for exploitation of the hotel, including no less than 150 rooms and/or Trade/Commercial/Office building(s), start operations of the hotel and/or trade/commercial/office building(s) and for this purpose provide at least US Dollar 5,000 000 (five million) investment (excluding value added tax) according to the following schedule (aggregate):
a) make an investment of US Dollar 1,500,000 (one million five hundred thousand) equivalent to GEL no later than January 3, 2024;
b) make an investment of US Dollar 3,000,000 (three million) equivalent of GEL no later than December 31, 2024;
c) make an investment of US Dollar 4,000,000 (four million) equivalent of GEL no later than December 31, 2025;
d) make an investment of US Dollar 5,000,000 (five million) equivalent of GEL no later than December 31, 2026."
In addition, in order to eliminate any ambiguities, it is clarified that the capitalized expenditure incurred in order to fulfill the privatization condition provided for in the same article is considered as an investment made in accordance with this article; In addition, the costs incurred for the purchase of machinery/equipment will be included in the investment to be made only if the relevant machinery/equipment are located/substantially connected to the real estate registered under cadastral code N01.16.05.001.025.
The "Purchaser" is entitled to fulfill the obligation (each stage) under this article earlier than the deadline specified in the same article.

1.2. Article 5.1.4 of the "Purchase Agreement" shall be amended and formulated as follows:
"5.1.4. In order to confirm the fulfillment of the obligation to make an investment in the amount of at least 5,000,000 (five million) US dollars (excluding value added tax) established by Article 5.1.1 of the "Agreement", no later than 45 (forty-five) calendar days after the expiration of each stage of the investment schedule provided for in the same Article, the "Purchaser" shall submit to the "Seller" the audit report specified in Article 7.3 of the "Agreement" and In order to confirm the fulfillment of the obligation, personally and/or by the virtue of the third party, on the property

Farid Muradov

registered with the land (real estate) cadastral code No. 01.16.05.001.025 or its part, to construct/reconstruct and in line with the legislation ensure the acceptance for exploitation of the hotel, including no less than 150 rooms and/or Trade/Commercial/Office building(s), start operations of the hotel and/or trade/commercial/office building(s) established by Article 5.1.1 of the "Agreement", no later than 45 (forty-five) calendar days after the expiration of the term stipulated in the same article (31.12.2026), the "Purchaser" shall submit to the "Seller" the audit report specified in article 7.3 of the "Agreement".

1.3. Article 7^1 shall be added after Article 7 of the "Purchase Agreement" and shall be formulated as follows:

Article 7^1. Bank guarantee

7^1.1 The # PEPB0518/23 bank guarantee issued by JSC "PASHA Bank Georgia" (TIN 404433674) dated 21/02/2023 presented by the "Purchaser" ensures the fulfillment of the obligations specified in Article 5.1.1 of the "Agreement" during its validity period, including payment of the fine/penalty imposed by the "Agreement" for their non-fulfilment.
7^1.2 Bank guarantee #PEPB0105/17 issued on April 26, 2017 by JSC "Pasha Bank of Georgia" (TIN 404433674) (taking into consideration the changes made to it) presented by the "Purchaser", during its validity period provides the guarantee of compensation for the damage caused to the state by the dismantling of the existing buildings and structures on the real estate registered under the cadastral code 01.16.05.001.017 in case of termination of the "Agreement" or the return of the real estate, transferred on its basis, to the state ownership due to non-fulfillment of obligations under the "Agreement".
7^1.3 The "Purchaser" is obliged to fill it up to its full amount within 1 (one) month in case of a decrease in the amount of the bank guarantee in 7^1.1 of the "Agreement".
7^1.4. If the "Seller" terminates the "Agreement" due to a breach by the "Purchaser" of its obligations undertaken by the "Agreement", in accordance with the article 8.5 of the "Agreement" or in case of automatic termination of the "Agreement" the amount of bank guarantees mentioned in articles 7^1.1 and 7^1.2 shall be fully transferred to the state budget.

1.4 Article 8.2. of the "Purchase Agreement" shall be amended and formulated as follows:
"8.2. In case of non-fulfilment or improper fulfilment of the obligation specified in Article 5.1.1 of the "Agreement", the "Purchaser" shall be liable to pay penalty as follows:
a) In case of non-fulfilment or improper fulfilment of the obligation established by Article 5.1.1 of the "Agreement", personally and/or by the virtue of the third party, to construct, reconstruct and in line with the legislation ensure the acceptance for exploitation of the hotel, including no less than 150 rooms and/or Trade/Commercial/Office building(s), start operations of the hotel and/or trade/commercial/office building(s) on the property registered with the land (real estate) cadastral code No. 01.16.05.001.025 or its part, the "Purchaser" shall be liable for a penalty in the amount of 500 (five hundred) GEL for each overdue day from the day of violation.
b) In case of non-fulfillment or improper fulfilment of the obligation to make an investment in the amount of at least 5,000,000 (five million) US Dollar (excluding value added tax) established in Article 5.1.1 of the "Agreement", the "Purchaser" shall be liable for a penalty in the amount of 0.05% of the remaining investment to be made for each overdue day from the day of the violation.

1.5 After Article 8.3 of the "Purchase Agreement", Article 8.3^1 of the following content shall be added:
"8.3^1. In case of non-fulfilment or partial fulfilment of the obligation specified in Article 7^1.3 of the "Agreement", the "Purchaser" shall be liable to pay a penalty in the amount of 0.1% of the sum, required to fill out the bank guarantee provided for in Article 7^1.1, for each overdue day from the day of the violation.

Article 2

2.1 The changes made in the "Purchase Agreement" do not change the content of other articles of the "Purchase Agreement". The rights and obligations of the parties established by all other articles remain unchanged.

2.2. The change(s) and addition(s) made to the "Purchase Agreement" shall be considered part of the content of the "Purchase Agreement" and shall be taken into account during the interpretation of the "Purchase Agreement".

Farid Murador

Article 3

3.1. This " Amendment Agreement" is effective from the moment of its signature by the "Parties".

3.2. All expenses related to the registration of the present "Amendment Agreement" in the LEPL National Agency of Public Registry (hereinafter, "Public Registry"), as well as other costs related to the conclusion thereof shall be covered by the "Purchaser".

3.3. This "Amendment Agreement" is drawn up in Georgian and English languages, in 3 (three) copies with equal legal force, which are delivered to the "Parties" and the "Public Registry". In the event of a difference between the Georgian and English versions of the "Amendment Agreement", the Georgian version shall prevail.

"Seller"	"Purchaser"
LEPL - State Agency of National Property	"PASHA Development Georgia" LLC
Representative: Salome Surguladze	Director: Farid Muradov

Farid Muradov

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230365593
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.03.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**თეა კიკუაშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქალაქი თბილისი,ლესელიძის ქ. #17**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593235532
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	10303336766723

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაორ მარტს მე, თეა კიკუაშვილი, ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ლესელიძის ქ. №17-ში, ვამოწმებ, **ფარიდ მურადოვის** (დაბ. 04.08.1985წ მისი განცხადებით მცხ. მისამართზე: ქ. ბაქო ჯურჩაილის ქუჩა №25/5ა, აზერბაიჯანი მოქალაქის პასპორტი №C04015314, გაც. 28.04.2022-2032), **სალომე სურგულაძის** (დაბ. 06.12.1990წ მისი განცხადებით მცხ. მისამართზე: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ოზურგეთი, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა, N 32, პირადი №33001066041) და ინგლისური ენის **თარჯიმნის სოფიო ზადიკაშვილის** (დაბ. 12.10.1984, პირადი №01009017804, პასპორტის #17AA96562, მცხოვრები: ქ. რუსთავი, მე-19 მკ.რ-ნი, კორპ.15 ბ.54 დიპლომი R 000010 გაც. 2006 წელს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ) ხელმოწერას წინამდებარე **ხელშეკრულებაზე 17.04.2015 წ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,** მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასევე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. თარჯიმანი გაფრთხილებულია თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოების შესახებ. მხარეებმა და თარჯიმანმა დამიდასტურეს თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობის შესახებ. მე გავაფრთხილე თარჯიმანი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე **ხელშეკრულებას**, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია 252.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ 45.36 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა. (**სამი ეგზემპლიარისათვის**) ასევე არეგისტრაციო მოსაკრებელი 5-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი თეა კიკუაშვილი

შეკერილია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი:

TEA KIKUASHVILI
ТЕА КИКУАШВИЛИ

საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2397 2022 წლის 23 დეკემბერი თბილისი

შპს „პაშა დეველოპმენტ ჯორჯიას“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „პაშა დეველოპმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ: 402013628, შპს „ფაშა დეველოპმენტის“ (ს/ნ: 1402272621) უფლებამონაცვლე) შორის 2015 წლის 17 აპრილს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ხელშეკრულების 5.1.1 მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.1.1. არა უგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, №01.16.05.001.025 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე ან მის ნაწილზე არანაკლებ 150-ნომრიანი სასტუმროს ან/და სავაჭრო/კომერციული/საოფისე დანიშნულების შენობა-

ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა/რეკონსტრუქცია, შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კანონით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება და სასტუმროს ან/და სავაჭრო/კომერციული/საოფისე შენობა-ნაგებობ(ებ)ის ფუნქციონირების დაწყება და ამ მიზნით, არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკით:

ა) 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება არა უგვიანეს 2024 წლის 3 იანვრისა;

ბ) 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება არა უგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა;

გ) 4 000 000 (ოთხი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება არა უგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა;

დ) 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება არა უგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა.“.

2. შპს „პაშა დეველოპმენტ ჯორჯია“ (ს/ნ: 402013628) ვალდებულია, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე, წარადგინოს არანაკლებ 2027 წლის 30 აპრილის ჩათვლით მოქმედი, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინვესტიციის თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომელიც მისი მოქმედების პერიოდში უზრუნველყოფს ამავე პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულებას (მათ შორის, მათი დარღვევისათვის შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდას).

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო

ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**